



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები 2018



01.10.2019
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

საწარმოთა საქმიანობის შედეგები


(2018 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.7 პროცენტით გაიზარდა და 86.6 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წელს მისი მოცულობა 41.6 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.0 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს:

დიაგრამა №1

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება წლების მიხედვით



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


01.10.2019

2018 წელს მთლიანი ბრუნვის 49.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 21.4 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 29.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.4 პროცენტი, საშუალოზე - 26.6 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.0 პროცენტი.

დიაგრამა №2

**ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები
საწარმოთა ზომების მიხედვით, 2018 წელი**



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წელს 56.7 მლრდ. ლარი (გასულ წლთან შედარებით 11.6 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 35.9 მლრდ. ლარი შეადგინა (გასულ წლთან შედარებით 13.6 პროცენტით მეტი).


2018 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 734.2 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 3.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.2 პროცენტი ქალია, ხოლო 59.8 პროცენტი - კაცი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

დიაგრამა №3

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 33.1 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.8 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 45.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 679.5 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 4.1 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 9 046.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასულ წელთან შედარებით 12.4 პროცენტით მეტი).

2018 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 101.3 ლარს გაუტოლდა (გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 81.6 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 835.3 ლარი (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 71.0 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 224.6 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 276.3 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 892.4 ლარი.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

2018 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 43.2 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 16.1 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 10.6 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8.3 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.8 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება - 3.8 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 12.2 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

დიაგრამა №4

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2018 წელი




2018 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.9 პროცენტი) და მშენებლობა (18.7 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16.5 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.7 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 33.2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

ლიზგრამა №5

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2018 წელი




2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.8 პროცენტი, 12.7 პროცენტი და 10.1 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (9.9 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (7.9 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (6.2 პროცენტი):

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

დიაგრამა №6

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2018 წელი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

დიაგრამა №7



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის	2018 წლის	2018 წლის ზრდის ტემპი 2017 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	71 557.0	86 625.1	120.7
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	414.4	446.9	104.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	673.4	749.3	111.6
დამამუშავებელი მრეწველობა	8 450.6	9 212.3	108.0
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2 947.4	3 294.6	111.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	240.3	262.3	110.5
მშენებლობა	6 873.1	7 171.3	101.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	33 353.0	37 409.5	114.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	4 752.6	5 054.0	107.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 559.8	1 811.7	116.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	712.1	919.2	127.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	847.7	892.4	106.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 665.9	1 750.8	105.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 080.7	1 275.3	116.9
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 311.8	1 484.1	104.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 040.2	1 195.9	117.4
განათლება	345.1	384.5	109.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	967.4	1 052.8	108.0
ხელოვნება გართობა და დასვენება	5 751.0	13 934.1	225.6
სხვა სახის მომსახურება	130.0	135.8	117.1

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2018 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის	2018 წლის	2018 წლის ზრდის ტემპი 2017 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	38 206.8	41 649.2	109.0
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	457.9	510.0	111.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	690.6	767.0	111.1
დამამუშავებელი მრეწველობა	8 402.3	9 130.6	108.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	1 347.5	1 600.6	118.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	364.7	366.0	100.4
მშენებლობა	7 611.0	7 789.5	102.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	6 345.4	6 884.0	108.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	3 661.6	4 050.9	110.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 564.5	1 816.1	116.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	727.5	921.8	126.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	836.9	894.3	106.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 446.7	1 592.6	110.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 121.0	1 277.9	114.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 217.2	1 331.3	109.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	710.9	829.8	116.7
განათლება	366.9	407.1	110.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 614.7	1 750.1	108.4
ხელოვნება გართობა და დასვენება	1 168.3	1 407.1	120.4
სხვა სახის მომსახურება	115.6	138.6	119.9

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მოხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2017 წლის	2018 წლის	2018 წლის ზრდის ტემპი 2017 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	708 165	734 215	103.7
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	12 699	12 347	97.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 565	8 806	102.8
დამამუშავებელი მრეწველობა	92 438	92 902	100.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	14 881	14 910	100.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 805	14 411	97.3
მშენებლობა	76 187	74 192	97.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	183 884	196 883	107.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	56 520	58 137	102.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	42 154	45 663	108.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	17 507	20 293	115.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	24 647	25 370	102.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21 435	22 449	104.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17 699	18 556	104.8
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	24 988	26 352	105.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	25 333	26 626	105.1
განათლება	22 637	23 032	101.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	69 392	72 322	104.2
ხელოვნება გართობა და დასვენება	17 091	18 391	107.6
სხვა სახის მომსახურება	7 458	8 236	110.4

01.10.2019

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:


- ქ. თბილისი – 73.8 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 6.6 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.2 პროცენტი
- იმერეთი – 4.6 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.1 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 64.2 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.5 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 7.7 პროცენტი
- იმერეთი – 6.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:

დიაგრამა №8



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


01.10.2019

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.7 პროცენტი,
- იმერეთი – 6.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:

დიაგრამა №9



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
 - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
 - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
 - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
 - ფაქტური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:
 1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
 2. შპს „საქართველოს ფოსტა“
 3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
 4. სს „სილქნეტი“
 5. სს „საქართველოს რკინიგზა“
 6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
 7. სს „საქენერგორემონტი“
 8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

01.10.2019

რელიგში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია:
ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)
სექციების დასახელებები

A	„სოფლის, საძეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: სანარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge